საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №01/ 71 -ო

ქ. თბილისი 05 ივნისი 2015 წელი

შპს სადაზღვევო კომპანია ,,პარტნიორში" იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 02 სექტემბრის №01/16–ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის მე–19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33[1] მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული ,,მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის" და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 02 სექტემბრის №01/16–ო ბრძანებით დანიშნულ დროებით ადმინისტრატორს ზვიად გაბისონიას (პირადი ნომერი: 01026008225) შეუწყდეს უფლებამოსილება და შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორის" (ს/კ 205224675) დროებით ადმინისტრატორად დაინიშნოს კახაბერ ვარადაშვილი (პირადი ნომერი: 01014000880), რომელიც ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის 33[1] მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმისწარმოების წესის" შესაბამისად.

2.დროებითმა ადმინისტრატორმა მიიღოს აუცილებელი ზომები შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორში“ ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

3.დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნა–გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს სადაზღვევო კომპანია „პარტნიორის“ მარეგისტრირებელ ორგანოს, გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ–გვერდზე.

4.აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარეთათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5.აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 08 ივნისიდან.

იოსებ გოგოლაშვილი

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი